ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის და
საკითხების საჯარო განხილვის

**ოქმი N 61**

31 აგვისტო, 2021 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

13:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელი.

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

თინათინ ნიბლოშვილი

ანა ლაშხი

გიორგი ბირბიჩაძე

კომისიის სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების საჯარო განხილვას ესწრებოდნენ დაინტერესებული პირები:

ნინო რუხაძე- საკრებულოს წევრი

რიტა ხიდირბეგაშვილი

ვან ბაიბურთი

მარი არაქელოვა

გია ალავიძე

იმერი კავსაძე

ზურაბ მანაგაძე

მაია იორამაშვილი

გია დოიჯაშვილი

ნუცა დოიჯაშვილი

პაატა ალადაშვილი

მიხეილ ამაშუკელმა დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

## დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ილია და ნინო ნაკაშიძეების ქუჩის შესახვევისთვის მსახიობ კახი კავსაძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

2. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოტე მესხის შესახვევისთვის კინორეჟისორის სერგო ფარაჯანოვის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

3. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, შოთა ნიშნიანიძის გასასვლელისთვის მომღერალ ზურაბ დოიჯაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

4. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ტყის ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის ექიმის, პროფესორის იოსებ აბაკელიას ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ მიხეილ ამაშუკელმა კომისიის წევრებთან ერთად განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი. კომისიის წევრებმა მოისმინეს და საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს.

1. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ილია და ნინო ნაკაშიძეების ქუჩის შესახვევისთვის მსახიობ კახი კავსაძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: მიხეილ ამაშუკელის ინფორმაციით სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ წამოაყენა ინიციატივა კრწანისის რაიონში, ილია და ნინო ნაკაშიძეების ქუჩის შესახვევს, რომელიც იძლევა დამოუკიდებელ ქუჩად ჩამოყალიბების შესაძლებლობას, მიენიჭოს საქართველოს სახალხო არტისტის, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის კახი კავსაძის სახელი.

კომისიამ ადგილზე შეისწავლა ტერიტორია. ასევე შედგა შეთანხმება მსახიობის ოჯახის წევრებთან. კახი კავსაძის ღვაწლიდან გამომდინარე ქართული კინოსა და თეატრის წინაშე, კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

აზრი გამოთქვეს: სხდომას ესწრებოდა კასი კავსაძის ოჯახის წევრი იმერი კავსაძე. მან ისაუბრა მსახიობის პიროვნების შესახებ. იმერი კავსაძემ ოჯახის სახელით მადლობა გადაუხადა საკრებულოს აღნიშნული ინიციტივისთვის. ასევე ნინო რუხაძემ ისაუბრა კახი კავსაძის ღვაწლისა და დამსახურების შესახებ და აღნიშნა რომ მსახიობი იყო ნამდვილად სახალხო არტისტი და საქართველოში საყოველთაო სიყვარულით სარგებლობდა.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: კრწანისის რაიონში, ილია და ნინო ნაკაშიძეების ქუჩის შესახვევს მიენიჭოს მსახიობ კახი კავსაძის ქუჩის სახელი.

2. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოტე მესხის შესახვევისთვის კინორეჟისორ სერგო ფარაჯანოვის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებთან ერთად განიხილა კინოდოკუმენტალისტის გია ალავიძის განცხადება, რომლითაც ითხოვდა კოტე მესხის შესახვევისთვის სერგო ფარაჯანოვის სახელის მინიჭებას. კომისიამ შეისწავლა აღნიშნული ტერიტორია და დადგინდა, რომ ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით კოტე მესხის შესახვევი შესაძლებელია ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ქუჩად. ეს ის ადგილია სადაც ცხოვროვდა სერგო ფარაჯანოვი.

რეჟისორის ნამუშევრები ძირითადად კავკასიის ეთნიკურ მრავალფეროვნებას ასახავს. მისი ნამუშევრების ფერადოვნების გამოძახილია „აშიკი ქერიბი" (1988) და დაუმთავრებელი ავტობიოგრაფიული სერია „აღიარებისა", რომელიც შემდგომში მიხეილ ვართანოვის ფილმის „ფარაჯანოვი: ბოლო გაზაფხული" ნაწილი გახდა. „სურამის ციხის" შემდეგ ფარაჯანოვს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ქართული ლიტერატურული ნაწარმოების, „შუშანიკის წამების" ეკრანიზაცია სურდა, თუმცა იმდროინდელმა ინტელიგენციამ ამის უფლება არ მისცა. უნიკალურმა რეჟისორმა კინოსამყაროში თავისი შეუცვლელი ადგილის დამკვიდრება პირველ რიგში სწორედ კინოს დადგენილი წესების უარყოფით მოახერხა. კომისიას გაითვალისწინა ასევე განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი ქართული კულტურის მოღვაწეთა ხელმოწერები.

აზრი გამოთქვეს: სხდომას ესწრებოდა საკრებულოს წევრი ნინო რუხაძე, რომელიც მიხეილ ამაშუკელის ინფორმაციით აქტიურად იყო ჩართული აღნიშნულ სახელდებაში. ნინო რუხაძემ აღნიშნა: ეს არის მართლაც საამაყო გადაწყვეტილება, რომ თბილისში გაჩნდება სერგო ფარაჯანოვის სახელობის ქუჩა, რადგან ის იყო ნამდვილად თბილისური ფენომენი.

მარიკა დარჩიამ ისაუბრა იმ ინიციატივის შესახებ, რომელიც გაჟღრდა სოციალურ ქსელში, რათა შეიქმნას სერგო ფარაჯანოვის მუზეუმი.

ასევე აზრი გამოთქვა რიტა ხიდირბეგაშვილმა. მან აღნიშნა რომ ეროვნული უმცირესობათა საბჭო არის ძალიან ამაყი ამ გადაწყვეტილების გამო.

სერგო ფარაჯანოვის შემოქმედების შესახებ ისაუბრა სომხური გაზეთის რედაქტორმა ვან ბაიბურთმა. მან აღნიშნა, რომ ეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა, ასევე კარგი იქნება თუ თბილისში დაარსდება სერგო ფარაჯანოვის სახელობის მუზეუმი. კომისიას ასევე მადლობა გადაუხადა სომხური სათვისტომოს თავმჯდომარემ მარი არაქელოვამ.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხი დადებითად გადაწყვიტეს.

მიხეილ ამაშუკელმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: მთაწმინდის რაიონში, კოტე მესხის შესახვევს მიენიჭოს კინორეჟისორის სერგო ფარაჯანოვის ქუჩის სახელი.

3. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, შოთა ნიშნიანიძის გასასვლელისთვის მომღერალ ზურაბ დოიჯაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: მიხელ ამაშუკელის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია ბესო ჩუბინიძის, ზურა კობეშავიძის, ბესო კალანდაძის, მანანა თოდაძის განცხადება, რომლითაც ითხოვენ თბილისის რომელიმე ქუჩას მიენიჭოს მომღერალ ზურაბ დოიჯაშვილის სახელი.

კომისიამ აღნიშნული საკითხის შესაწვლისას მიზანშეწონილად ჩათვალა, რათა თბილისში არსებობდეს მისი სახელობის ქუჩა, რადგან ზურაბ დოიჯაშვილმა 40 წელი გაატარა სცენაზე, იყო მრავალი ჯილდოს მფლობელი. ზურაბ დოიჯაშვილს გადაეცა საქართველოსა და ისრაელს შორის მშვიდობისა და მეგობრობის სიგელი. 2020 წლის დეკემბერში ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ გაიხსნა მუსიკოსის სახელობის ვარსკვლავი. ქუჩის სახელის შერჩევისას კომისიმ გაითვალისწინა, რომ მომღერალი ცხოვრობდა ხსენებულ ქუჩაზე და სახელდების საკითხი სრულადაა მხადაჭერილი მაცხოვრებლების მხრიდან. სახელდებისთვის შეირჩა შოთა ნიშნიანიძის გასასვლელი, რომელიც ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლეველია ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ქუჩად.

აზრი გამოთქვეს: სხდომას ესწრებოდა ზურა დოიჯაშვილის ოჯახის წევრი ნუცა დოიჯაშვილი. მან მადლობა გადაუხადა კომისიის მამის შემოქმედების დაფასებისთვის და მისი სახელის უკვდავყოფისთვის.

მიხეილ ამაშუკელმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით წარმოდგენილი მესამე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: კრწანისის რაიონში, შოთა ნიშნიანიძის გასასვლელს მიენიჭოს მომღერალ ზურაბ დოიჯაშვილის ქუჩის სახელი.

4. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ტყის ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის ექიმის, პროფესორის იოსებ აბაკელიას ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: მიხეილ ამაშუკელმა კომისიის წევრებთან ერთად იმსჯელა ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის დირექტორის ზაზა ავალიანის წერილის შესახებ, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს ექიმის, პროფესორ იოსებ აბაკელიას სახელი. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ქუჩასთან მდებარეობს ერთი ჩიხი. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ ასევე შეისწავლა იოსებ აბაკელიას ბიოგრაფია. ის გახლდათ საქართველოში მეცნიერული ფტიზიატრიის ფუძემდებელი, საზოგადო მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1922 წელს მისი თაოსნობით თბილისში დაარსდა ტუბერკულოზის ამბულატორია, შემდეგ კი ტუბერკულოზის რესპუბლიკური ინსტიტუტი. 1935-1938 წლებში ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის მის მიერვე დაარსებულ ტუბერკულოზის კათედრას.

აზრი გამოთქვეს: სხდომას ესწრებოდა ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე პაატა ალადაშვილი. მან აღნიშნა, რომ დიდია იოსებ აბაკელია ღვაწლი ასქართველოში ფტიზიატრიის განვითარებაში.მან მადლობა გადაუხადა კომისიას მხარდაჭერისთვის.

კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს აღნიშნულ საკითხს.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით წარმოდგენილი მეოთხე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ჩუღურეთის რაიონში, ტყის ქუჩას და მასთან არსებულ ჩიხს მიენიჭოს ექიმის, პროფესორ იოსებ აბაკელიას სახელი.

მიხეილ ამაშუკელმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

მიხეილ ამაშუკელი